PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ქ. გორსა და სოფელ ხიდისთავში

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრი: ირმა ღარიბაშვილი

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 აპრილის №316896 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი), ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ წერილის (რეგისტრაციის №285131; განხორციელების ადგილი გორი, ბესიკის N2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი) საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) დამატების შესახებ განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით (მოდულები (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული), სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი, განმახორციელებელი პერსონალი), პროგრამის დამტკიცების აქტი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი და სხვ.

დამატებით იქნა გამოთხოვილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2021 წ. აპრილს 19 აპრილს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება, დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მენეჯერთან, პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან.

ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1), 2.2.1(2) და 2.2.1(3) კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი კომპონენტები, განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები, შესრულების ინდიკატორი, დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, ტენდერით შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი, დადასტურების წყარო და რისკები.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული გასაუბრების საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას გაცემული იყო ხუთი რეკომენდაცია, აქედან ოთხი რეკომენდაცია გათვალისწინებულია.
1.სასურველია, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლების) შემთხვევისათვის „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ (ბრძ.№83; 06.09.2019 წ.) დაიხვეწოს და გაიწეროს ყველა იმ პროგრამისთვის, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით. ასევე, გათვალისწინებულ იქნეს ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის მიღების პერიოდისა და სეზონურობის შესახებ- **გათვალისწინებულია.**
2. სასურველია სამმხრივ ხელშეკრულებაში განისაზღვროს პროფესიული სტუდენტის ანაზღაურების რაოდენობრივი მაჩვენებელი- **გათვალისწინებულია.**
3. სასურველია მარეგულირებელი დოკუმენტებიდან საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი იქნეს ამოღებული - **გათვალისწინებულია.**
4. სასურველია საევაკუაციო გეგმა განაახლონ და შეათანხმონ შესაბამის სამსახურთან-**არ არის გათვალისწინებული, გეგმა არაა შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან.**
5. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (ბრძ. №35. 03.06.2019 წ) მე-10 მუხლში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი) არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კატალოგში მოცემული ჩანაწერი დამატებითი შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ დოკუმენტთან-**გათვალისწინებულია**.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1. (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

- სწავლის დაწყებამდე დაწებულებამ უზრუნველყოს „შედუღების“ (როგორც არაინტეგრირებული, ისე ინტეგრირებული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება.

განვითარების რეკომენდაცია:

<u>ინდიკატორი 2.1.1.(8)</u> პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

- **რეკომენდებულია** ჩარჩო დუკუმენტის და შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების-ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში/0731007/; შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში/0731008/; მშრალი შედუღება/0731009/- სტანდარტული ჩანაწერების კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში და სარეკომენდაციო ჩანაწერების თემატიკაში სასურველია ტერმინი „ოკუპაციური ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩასწორდეს ტერმინით - „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>ინდიკატორი 2.2.1.(1)</u> **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

- რეკომენდაცია მიეცა დამატებით ისეთი ცეცხლმაქრის შეძენასთან დაკავშირებით, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ხაზებისა და ელექტრო დანადგარების წვისთვის (ნიშნით E).
- რეკომენდაცია მიეცა ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულისთვის განკუთვნილ ლაბორატორიაში ხელსაბანის და გამწოვი კარადის მოწყობის შესახებ.

<u>ინდიკატორი 2.2.1.(3)</u> **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

- რეკომენდირებულია, მოდულის განმახორციელებლებს ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციაში.

<u>ინდიკატორი 2.4.1.(6)</u> **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საევაკუაციო გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან.
- დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა C გარემოში ელ.დანადგარებთან გამოეკრას მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია აბდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Secondary Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძ. №20, 25.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	გორი, ბესიკის №2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	48 პროფესიული სტუდენტი - მოდულური, გორი, ბესიკის №2; გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	36
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	137
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	167
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

კოლეჯის მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-2 სტრატეგიული მიზნის მე-2 ქვეპუნქტით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამატება.

დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების დასაბუთება დაფუძნებულია საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შემდუღებლის" განხორციელების მრავალწლიან გამოცდილებაზე, ასევე როგორც დაწესებულების მიერ ჩატარებული სატელეფონო კვლევით ისე ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის ICCA-ს კვლევით. შრომის ბაზარზე ,,შემდუღებლის" პროფესია ყველაზე მოთხოვნადია საინჟინრო მიმართულებებს შორის, კვალიფიცირებული შემდუღებლების დასაქმების სფეროებია: მანქანათმშენებლობა, ბინათმშენებლობა, ჰესების მშენებლობა, გემთმშენებლობა, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობა, აირ-ნავთობის საცავების ობიექტების მშენებლობა, საქართველოს რკინიგზა, სარემონტო საწარმოები, სამხედრო სარემონტო საწარმოები და მრეწველობის სხვა დარგები.

რეგიონის მასშტაბით კოლეჯს გააფორმებული აქვს მემორანდუმები კურსდამთავრებულთა შემდგომი სტაჟირებისა და დასაქმებისათვის ,,სოკარ ჯორჯია პეტროლიუმთან" და შპს სამშენებლო კომპანია ,,იბოლიასთან", დაწესებულების განცხადებით თანამშრომლობის სურვილი ამ მიმართულებით გამოთქვა ასევე რამოდენიმე წვრილმა საწარმომაც.

დისტანციური ჩართვის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშენებელთა ინფრასტრუქტურის ასოციაციამ გადასცა ჩატარებული კვლევების შედეგები. დოკუმენტში მითითებულია, რომ 2020-2021 წლის კვლევებში მონაწილეობა მიიღო 39-მა სამშენებლო კომპანიამ. კომპანიების საქმიანობის მიმართულებებია - საგზაო მშენებლობა, ენერგეტიკული სფერო, საშენი მასალების იმპორტი/რეალიზაცია, NVAC (გათბობა-გაგრილება და ვენტილაცია) სისტემების რეალიზაცია და მონტაჟი, იატაკების ტექნოლოგიები და სხვ. კვლევების მიხედვით, კომპანიებში 51.3%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემდუღებელია დასაქმებული. შემდუღებლის სპეციალობით 35.9% ახალი კადრების საჭიროება გამოიკვეთა. კომპანიებში დასაქმებულ შემდუღებლების 26.3%-ს გააჩნია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„შედუღების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/ნ ბრძანებას „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ და „შედუღება / Welding" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

„შედუღების" პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის საბაზო განათლება, ხოლო არაინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სრული ზოგადი განათლება, ასევე ორივე მიდგომით განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგამაზე საჭიროა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა ფორმა №IV-100/ა, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ გაწერილი აქვს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესი (მე-4-მე-7 მუხლები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა/ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი.
დაწესებულებამ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების შესაბამისი A და B გარემო (მისამართზე გორი, ბესიკის ქ. №2), ასევე A და C გარემო - სახელოსნო, რომელიც მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი C გარემოს ფართია 73.95 კვ.მ, იმავე შენობაში მოწყობილია A გარემოც პროფესიული მოდულების თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის.
აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 48 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ მოდულებს - 36 (3 წელზე 12 პროფესიული სტუდენტი).

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი A, B და C გარემო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურის, თემატიკის მიხედვით და იძლევა მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული ვებ გვერდები, სადაც განთავსებულია სასწავლო რესურსი და მარეგულირებელი დოკუმენტები. აღნიშნული სასწავლო რესურსი იძებნება.

<u>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულების წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია, უფლებამოსილი პირის, ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის, მიერ 2021 წლის 25 მარტს №20 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „შედუღება/Welding", სარეგისტრაციო ნომერი 07310-პ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რამდენადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრირებულ მოდულებს, სასწავლო გეგმებს. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 – 15 კრედიტი, B1 – 15 კრედიტი).

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩარიცხულნი არიან **სრული ზოგადი განათლებით,** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის მოცულობით, 9 საერთო პროფესიულ მოდულს 32 კრედიტის მოცულობით, 11 პროფესიულ მოდულს 40 კრედიტის მოცულობით. ჯამურად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 79 კრედიტს და სწავლის ხანგრძლივობაა 52 კვირა;

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩარიცხულნი არიან **საბაზო განათლებით** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს 65 კრედიტის მოცულობით, 9 საერთო პროფესიულ მოდულს 32 კრედიტის მოცულობით, 11 პროფესიულ მოდულს 40 კრედიტის მოცულობით. ჯამურად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 137 კრედიტს და სწავლის ხანგრძლივობაა 3 სასწავლო წელი;

მოდულების, ქართული ენა A2 და B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 109 კრედიტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 73 კვირა, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 167 კრედიტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3,5 სასწავლო წელი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმები (არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სწავლების შემთხვევისთვის), რომელთა მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში განმეორებითი შეფასებისთვის ვადები არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან მოდულებს დაშვების წინაპირობები არ გააჩნია და პროფესიულ სტუდენტს შეუძლია განმეორებით შეფასებაზე გავიდეს პროგრამის დასრულებამდე მხოლოდ ერთხელ. ეს პირობა განსაზღვრულია დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ კონკრეტული მოდული არ უნდა წარმოადგენდეს სხვა მოდულის წინაპირობას. სასწავლო გეგმების შედგენისას დაცულია ლოგიკურობა.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

რეკომენდებულია ჩარჩო დუკუმენტის და შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების-ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში/0731007/; შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში/0731008/; მშრალი შედუღება/0731009/- სტანდარტული ჩანაწერების კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში და სარეკომენდაციო ჩანაწერების თემატიკაში სასურველია ტერმინი „ოკუპაციური ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩასწორდეს ტერმინით - „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ წესდებით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ მისიით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სტრატეგიული განვითრების გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით (დამტკ. დირექტორის ბრძ. №61; 13.10.2020წ);
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

კოლეჯში შემუშავებულია „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. ვიზიტისას განხორციელდა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის და კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის ბაზაზე (ქ. გორი. ბესიკის ქ.2) სასწავლო სივრცის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი პირობები:

<u>A სასწავლო გარემო:</u>

აუდიტორია №26 – 15 პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა. პანდემიიდან გამომდინარე მანძილი მაგიდებს შორის დაცულია მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტორია №40 – 12 პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა.

<u>B სასწავლო გარემო (დაწესებულება გააჩნია სამი B გარემო):</u>

აუდიტორია №20 – 18 პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად განლაგებულია მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი ქსეროქსი), დაფა.

ვიზუალურად შემოწმდა <u>ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამის</u> „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულისთვის განკუთვნილი გარემო - ლაბორატორია. ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა და ხელსაბანი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქიმიის სასწავლო გარემო მდებარეობს სველი წერტილის პირდაპირ და პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ ამ გარემოთი.

<u>მიეცა რჩევალაბორატორიაში (ქიმია) დამონტაჟდეს გამწოვი კარადა, ასევე გაიცა რეკომენდაცია ლაბორატორიაში ხელსაბანის მოწყობის შესახებ.</u>

<u>გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდისთავი:</u>

C სასწავლო გარემო (შედუღების ლაბორატორია) - ფართობი - 73.95 კვ.მ; ჭერის სიმაღლე - 3.3 მ. გრემოში გამოყოფილია 8 შესადუღი კაბინა, რომელიც არასამუშაო სივრცისგან გამოყოფილია სილიკონის სპეციალური ფარდებით. თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კაბინაში დამონტაჟებულია გამწოვი, ხელოვნური განათება, შესადუღებელი მაგიდა. გარემოში წარმოდგენილია შესადუღი ჩაფხუტები დამცავი ფარით, პირველადი დახმარების ჩანთა, ცეცხლმაქრი (ნიშნებით A, B, C). <u>დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა დამატებით ისეთი ცეცხლმაქრის შეძენასთან დაკავშირებით, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ხაზებისა და დანადგარების წვისთვის (ნიშნით E).</u>

<u>A სასწავლო გარემო -</u> განკუთვნილია 12 პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია სრული კომპლექტი. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაფა შეძენილია და განათავსებენ აღნიშნულ გარემოში. აღნიშნული გარმო ასევე გამოიყენება „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

გარემოსთვის განკუთვნილ სველ წერტილში ამჟამად მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

„მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის ლაბორატორიის და C სასწავლო გარემოს მატერიალური რესურსის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით <u>წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა</u> (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) რომლის მიხედვით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი შესაძენია, მათ შორის ინტეგრირებული მოდულებისთვის“. განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები, შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო, რისკები, განსაზღვრულია დაფინანსების წყარო და დაფინანსების ოდენობა, ასევე წარმოდგენილია ტენდერით შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი.

<u>C სასწავლო გარემოსათვის</u> წარმოდგენილია ტენდერით შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი. ტენდერი დასრულებულია, გამოვლენილია მომწოდებელი შპს „ელექტრონი“ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშ. N9; 22.03.21) და მიმდინარეობს ინვენტარის შესყიდვა (TIG შედუღების აპარატი; MIG/MAG შედუღების აპარატი; ინდუსტრიალური მულტი პროცესული შედუღების აპარატი/იმპულსური/MIG შედუღება; პლაზმური ჭრის აპარატი; გამწოვი). შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 20 აგვისტო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის შესაძენად მიმდინარეობს სატენდერო სამუშაოები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „გაუმჯობესების გეგმიდან“ გამომდინარე, დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას მიმდინარე წლის სექტემბრამდე. გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ინფორმაცია და კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სწავლის დაწყების წინ კოლეჯის საკუთრებაში იქნება.

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც არაინტეგრირებული ისე ინტეგრირებული, სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, ერთი და იგივე სივრცის გამოყენება ორ ცვლაში დასაშვებია. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი შესწავლილია საგანმანათლებლო პროგრამისთვის და ორცვლიანი დატვირთვის შემთხვევაში ყველა გარემო გამტარუნარიანია. ვინაიდან ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამი წლის განმავლობაში, ერთი და იგივე სივრცის გამოყენენება ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ხელისშემშლელი არ არის.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 ზოგადი და 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 ზოგადი და ინტეგრირებული და 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით. ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა.

ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით, კოლეჯს დამატებით გამოცხადებული აქვს კონკურსი. რისთვისაც წარმოდგენილია **გაუმჯობესების გეგმა** (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მდგრადობისთვის დამატებით ადამიანური რესურსის მოძიება“** განსაზღვრულია კომპონენტის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო და რისკები.

<u>პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „შედეგების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა მიხედვით პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა.

<u>საერთო პროფესიული მოდულის „შესადუღებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება“ განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დასადასტურებლად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი. განმახორციელებელ პირს CV-ში მითითებული აქვს კომპანიაში შემდუღებლის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. გასაუბრების დროს მან აღნიშნა, რომ პროფესიული კვალიფიკაციის მიღებამდე გააჩნდა სამუშაო გამოცდილება, ექსპერტთა მხრიდან გამოთხოვილ იქნა დამადასტურებელი ცნობა. მოგვიანებით გადმოგზავნილი იყო დამატებით ცნობა, რომლის მიხედვით 2017 წლიდან 2021 წლის იანვრამდე აღნიშნული პირი მუშაობდა ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ცენტრში შემდუღებლის დამხმარედ, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატის მიხედვით, აღნიშნული ტექ. მომსახურების ცენტრის მფლობელი წარმოადგენს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს.</u>

ინტეგრირებული პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდება კვალიფიკაცია. წარმოდგენილია მათი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV, სერთიფიკატები. დასტურდება პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია. რამოდენიმე მათგანს გავლილი აქვს ტრენინგები, გადამზადების პროგრამა (გაეროს განვითარების პროგრამა), მომზადების კურსი (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროფესიული განათლების პროექტი), შედუღების, შეფასების (მასწავლებელთა სახლი), შრომის უსაფრთხოების (გერმანიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება GIZ) და სხვა მიმართულებით. ტრენინგები გავლილი აქვთ ასევე ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განმახორციელებელ პირებთან 2021 წლის 01 აპრილს გაფორმებული შეთანხმების დოკუმენტები. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია მოდულების სახელწოდებები.

რამოდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი საჭიროებს ტრენინგებს სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის მიმართულებით, რასაც დაწესებულებაც აცნობიერებს, კოლეჯის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას განმარტა, რომ ყავთ ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები და კოლეჯი გეგმავს ტრენინგების ჩატარებას სწავლების მეთოდებზე, შეფასებაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი მხარე, „კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა“. განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო და რისკები.

<u>გაცემულია რეკომენდაცია მოდულის განმახორციელებლებს ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციაში.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

„შედეგების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით, დასტურდება მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვალიფიკაცია, შემდეგ ეტაპზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. 2012 წლიდან მუშაობს კოლეჯ „განთიადში“ პროფესიული განათლების მასწავლებლად.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ჩართვის დროს დათვალიერდა ბიბლიოთეკა და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, შერჩევითად გადამოწმდა სასწავლო ლიტერატურის არსებობა, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთკო წესით და გატარებულია საინვენტარო წიგნში. „შედეგების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით (CD დისკზე) და გამოიყენება სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო სტანდარტში განსაზღვრული ინგლისურენოვანი სასწავლო რესურსი ჩანაცვლებულია ქართულენოვანი რესურსით. მოდულებში გაწერილია როგორც ძირითადი ლიტერატურა, ასევე დამხმარე ლიტერატურა.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებაში აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დაკვირვების შედეგად აზუსტებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებისთვის კოლეჯის მიერ ადაპტირდება საგანმანათლებლო რესურსი.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია <u>შემოსავლების ნაწილი</u> და <u>ხარჯების ნაწილი. არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში, შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 95 730 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - 95 730 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) -18 210 ლარი; სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსება) – 32 286 ლარი. ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსება) - 45 235 ლარი. <u>**რენტაბელობის ზღვარი არის 6 სტუდენტი**</u>
<u>ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში, შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 184 998 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - 184 998 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) -40 290 ლარი; სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსება) – 60 702 ლარი. ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსება) – 84 006 ლარი. <u>**რენტაბელობის ზღვარი არის 7 სტუდენტი**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ.დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით“(დამტკ. დირექტორია ბრძ. №93; 10.09.2018წ.)
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით - “გაუმჯობესების გეგმა“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმი მოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები და ინსტრუმენტები: კოლეჯში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების (პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა ადმინისტრაციის და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა), შეხვედრების და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების ვერიფიკაცია; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი; თვითშეფასება, პროგრამების ეფექტიანობის შეფასება BCG მეთოდით (ექსპერტების დავინტერესდით რაში მდგომარეობს აღნიშნული მეთოდი და როგორ იყენებს დაწესებულება, ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ ჯერ არ იყენებენ აღნიშნულ მეთოდს, მაგრამ აპირებენ მომავალში მის დანერგვას). შიდა მონიტორინგის დროს ხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, შეფასება, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება, აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“, მე-3 თავის - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება შეფასება და განვითარების“, მე-8 პუნქტი - „პროგრამის გაანვითარება და ცვლილება“ ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსის ცვლილების ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, დაწესებულებაში მოქმედი შიდა მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს, პროგრამაში, რომელის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას ინიცირება შეუძლია ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ საწარმოს და სხვა პირებს.

პროგრამის შეფასების და განვითარების მიზნით კოლეჯი ახორციელებს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებვულები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) გამოკითხის ანალიზს, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედეგების ანალიზს. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის მართვის მენეჯერთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან/და შეაქვს ცვლილებები პროგრამაში, რომელიც წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით (დამტკ. დირექტორის ბრძ. №61; 13.10.2020წ);
- გამოკითხვის კითხვარებით;
- გასაუბრებით;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის არაინტეგრირებული და ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები ქართული ენის და მათ გარეშე, რომელის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არაინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აღემატება 40 საათს, ხოლო ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 30 საათს. გათვალისწინებულია შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აქვს შესაბამისი გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას დისტანციურად, გამომდინარე სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, პროფესიული სტუდენტებისთვის ტარდება კონსულტაციები.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული, ასევე ახლადშემოსული ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულებას „სასწავლო პროსცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით და „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით“ განსაზღვრული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავება, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთის საჭიროების შემთხვევაში, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულებას განაცხადით წარმოდგენილი აქვს, რომ "შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯში, არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს, თუმცა დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული შპს „იბოლიასთნ“, სადაც განსაზღვრულია, რომ კომპანია ხელს შეუწყობს როგორც პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილების მიღებას, ასევე წარჩინებული სტუდენტების სტაჟირებას. რაც შეეხება კომპანია „სოკარ ჯორჯიას“ მიმდინარეობს მემორანდუმის გაფორმების პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

"შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელების მიზნით შემუშავებული აქვს „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“, „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“. გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, ინსტრუქციები, გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირი, ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტებს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით. ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, კოლეჯი ითვალისწინებს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს, შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები და უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს.

წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება 3 დარაჯი, შედგენილია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი, დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, <u>საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საევაკუაციო გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან.</u> კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრები, წესრიგის დარღვევის ავარიულ ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას კოლეჯის დარაჯი ვალდებულია ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს კოლეჯის დირექტორს ან/და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელს, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები. აუცილებლობის შემთხვევაში დარაჯი, მედდა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულები არიან დარეკონ 112 და ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის სამსახურს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

A და B გარემოში დაცულია უსაფრთხოების პირობები. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ როგორც კი განხორციელდება შესადუღი აპარატურის შეძენა-დამონტაჟება, <u>ინსტრუქციაში მითითებული სპეციალური უსაფრთხოების პირობებს გააკრავენ C გარემოში ყველასთვის ხილულ ადგილას და ასევე თითოეული აპარატის სამუშაო ადგილას. C გარემოს აქვს როგორც ბუნებრივი ვენტილაცია, ისე გამწოვები.</u> გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, C გარემო ერთსართულიანი შენობაა. კოლეჯის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ყოველი მეცადინეობის წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს შესადუღი დანადგარების უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ.დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ პირველადი დახმარების აღმოჩენის წესით (დამტკ.დირექტორის ბრძ. №54; 2.07.2019 წ.);
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტკ.დირექტორის ბრძ. №55; 2.07.2019 წ.);
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“. (დამტკ.დირექტორის ბრძ. №56; 2.07.2019 წ.);
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (თავი 4; პ.1;2) თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს და პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა და მისი შემუშავება ხდება მოდულის განმახორციელებლის მიერ. შეფასების ინსტრუმენტი ასევე შესაძლებელია შეიმუშაოს ან მის შემუშავებაში იყოს ჩართული დარგის ან/და განათლების ექსპერტი, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეფასების ინსტრუმენტების ბანკის არსებობის შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაძლებელია სტანდარტული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება ხდება კალენდარული გეგმით გათვალისწინებული შედეგის შეფასების ჩატარებამდე. შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში წარმოდგენილი მონაცემების სისრულის და სისწორის გადამოწმების მიზნით, ხორციელდება შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტის ფორმაზე მათი ხელმოწერით. მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ან ვალიდაციაში ჩართული პირი არ შეიძლება იყოს იმავე ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკატორი, ასევე ხარისხის მართვის მენეჯერი. განმეორებითი შეფასებისთვის ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გაწერილია აპელაციის წესი და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“ (თავი 4; პ.3) განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, შიდა ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: შემუშავებული და შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების შემოწმება. შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება წინასწარ შედგენილი შიდა ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, რომლის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი. შიდა ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს იმავე მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ან ვალიდაციაში ჩართული პირი. განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური ასპექტების შეფასებას „შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის მიხედვით“. დარგის ვერიფიკატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას „შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის მიხედვით“. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპის საფუძველზე. ვერიფიკაციის ნიმუშების შერჩევისას, რისკების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების რაოდენობა, არსებული რესურსები, ვერიფიკატორების რაოდენობა, ინსტუმენტების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, მაგალითად, დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია / შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ ინახება სასწავლებელში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით. პროფესიულ სტუდენტთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების არსებობა უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოყენებული იყოს მათი შემდგომი განვითარებისათვის. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ანალიზი პროფესიულ მასწავლებელს მისცემს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სწავლების მიდგომების გადახედვა კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარების მიზნით. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“ (თავი 4; პ.4) გაწერილია შეფასების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროვება ხდება პროფესიული სტუდენტის სიტყვიერი თანხმობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით (დამტკ. დირექტორის ბრძ. №61; 13.10.2020წ);
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ.დირექტორის ბრძ. №72; 16.10.20 წ.);
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: